

## მელი და მწევარნი

ორნი მწევარნი ნადირობას დადიოდენ. ერთს მინდორში ნახეს, მელს თავი შეუპყრია, ხან გაუშვებს და ხან დაიჭერს, ხან ჰაერში შეაგდებს – ათამაშებს. მიეპარნენ და მელი შეიპყრეს.

უთხრა მელმან მწევრებს: ჩემი დღე ხომ მოვიდა. ღმერთმან ჩემი თავი თქვენ მოგცათ. სადღა წაგივალ? ამ მინდორს ხედავთ? ამდენი შემიხვეწიეთ, თქვენც იცით, როგორ ჩემი გვარი თავის მტერია. გამიშვით, ერთი თავი დავიჭირო, ვითამაშო და მერე რაც გინდა, მიყავითო!

დატყუდდენ. მწევრებმა გაუშვეს მელი. მელმან თავი დაიჭირა, ათამაშა. შეაგდო და დაიჭირა. ხან აქეთ ათამაშა, ხან იქით. თურე ახლოს სორო ჰქონდა და შიგ შევარდა.

მოუსხდენ მწევრები და უთხრეს: მेलო! გამოდი ერთი თავი კიდევ ათამაშე, ის ხომ დიდად გიყვარსო და მერე შედიო!

მელმან უთხრა: შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არა თუ ახლა გამოვიდე და ვითამაშო!

- შარშან რაც გეუბენ და ან შენი ვისმინე, ისიც დიდად მიმძიმს, თუ დამეხსნებოდე, არცა რას ახლა გეუბნები.

თქვა ლეონ არაკი: